ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2421246

ნომერი: AR1375709

თარიღი : 04.02.2016

გაცემის თარიღი : 10.02.2016

გაცნობის თარიღი : 10.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2319194
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 16.12.2015

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2016 წლის 04 თებერვალს შემოსული NAR1375709 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.16.015.291), სამედიცინო ცენტრის ,,ა" ბლოკის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის N8-979/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. N57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად - "ქ. თბილისში

(გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით.

განხორციელებული მშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია. დადასტურების წერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს;"

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამედიცინო ცენტრის ,,ა" ბლოკი) ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის ს #ბ–979/16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ–სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დასტური განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 16.12.2015 წლის №2319194 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.